ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს სხდომის

ოქმი #1

ქ. ქუთაისი 6 ივლისი 2018

სხდომა გაიხსნა 12.00 საათზე

2018 წლის 6 ივლისს გაიმართა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს სხდომა. სხდომას ესწრებოდნენ საბჭოს წევრები: ლევან როხვაძე, ბენია თხილავა, ღუტუშა კვანტალიანი, ნოდარ ჯიქია, ნუგზარ კოხრეიძე, გიორგი ჭიჭინაძე, ინგა აბრამიძე, თემურ ამყოლაძე, ქართლოსი კვიტივაძე, მეგი ნიჟარაძე, თამარ ხეცურიანი, შოთა გვენეტაძე, ხვიჩა ვაშაყმაძე, ქეთევან ბერძენიშვილი, თეონა გოგიშვილი.

დღის წესრიგი:

საკითხი 1. მისალმება - მუნიციპალიტეტის მერი ბატონი გიორგი ჭიღვარია
საკითხი 2. სამოქალაქო ჩართულობის ელექტრონული ფორმის წარდგენა (მომხსენებელი მერის მოადგილე ქალბატონი ნინო თვალთვაძე)
საკითხი 3. საბჭოს თავმჯდომარის, მოადგილის და მდივნის არჩევის საკითხის განხილვა

საკითხი 1.

მოისმინეს: შეხვედრა გახსნა ქალაქ ქუთაისის მერმა ბატონმა გიორგი ჭიღვარიამ. მან საბჭოს წევრებს შეახსენა ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 86 1 მუხლით განსაზღვრული სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს უფლებამოსილებები და მისი საქმიანობის წესი, კერძოდ, სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო არის მუნიციპალიტეტის მერის სათათბირო ორგანო, რომლის შემადგენლობაში შედიან მეწარმე იურიდიული პირების, არასამთავრობო ორგანიზაციების, დარგის ექსპერტებისა და აკადემიური წრეების წარმომადგენლები. მერი მის მიერ დამტკიცებულ სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს განსახილველად წარუდგენს ქალაქ ქუთაისის ბიუჯეტის პროექტს, სივრცითი დაგეგმარების დოკუმენტებს, გეოგრაფიული ობიექტების სახელდების შესახებ წინადადებებს, აგრეთვე სხვა მნიშვნელოვანი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების პროექტებს, ინფრასტრუქტურული და სოციალური პროექტებს. ბატონმა გიორგი ჭიღვარიამ ვრცლად ისაუბრა ქალაქში მიმდინარე და სამომავლოდ დაგეგმილ პროექტების შესახებ. დღევანდელი შეხვედრა არის გაცნობითი ხასიათის, როგორც ავღნიშნეთ საბჭოს შემადგენლობაში შედიან სხვადასხვა სექტორის წარმომადგენლები, იმ საკითხებთან დაკავშირებით, ცალკეული სფეროების შესაბამისად განეკუთვნება თქვენს კომპეტენციას. წარმოდგენილი ინიციატივები და მოსაზრებები განხილული იქნება საბჭოს მიერ და ერთობლივად გადავჭრით ქალაქში არსებულ პრობლემებს.

აზრი გამოთქვეს: ნოდარ ჯიქიამ, ნუგზარ კოხრეიძემ, ქეთევან ბერძენიშვილმა, მეგი ნიჟარაძემ და სხვებმა.

საბჭოს წევრებმა გამოთქვეს მზაობა მუნიციპალიტეტთან აქტიური თანამშრომლობისა და ყველა საჭირბოროტო საკითხების გადაწყვეტაში აქტიური ჩართულობისა.

ქალაქის მერმა ბატონმა გიორგი ჭიღვარიამ მადლობა გადაუხადა საბჭოს წევრებს თანამშრომლობისათვის და იმედი გამოთქვა, რომ საბჭოს ინიციატივები და წინადადებები მნიშვნელოვანი და გასათვალისწინებელი იქნება მუნიციპალიტეტის საქმიანობის პროცესში.

საკითხი 2.

მოისმინეს: მერის მოადგილემ ქალბატონმა ნინო თვალთვაძემ საბჭოს წევრებს გააცნო ახალი ინოვაციური პროექტი, კერძოდ: ესტონურმა მხარემ ქუთაისის მუნიციპალიტეტს აჩუქა ელექტორნული სისტემა სახელად Volis, რომელიც გამოიყენება მოქალაქეების ჩართულობისთვის. ეს არის ვებგვერდი Volis.Kutaisi.gov.ge, სადაც ნებისმიერ მსურველს აქვს საშუალება გამოაგზავნოს თავისი იდეა და მოსაზრება. შემდეგ მოხდება ამ იდეების გაფილტვრა და დახარისხება სფეროებისა და დარგების მიხედვით. მოხდება ამ იდეების გამოქვეყნება და ხმის მიცემა. რის შემდეგაც შეირჩევა ქალაქისთვის სასარგებლო იდეები, რომლის განხილვაც მოხდება მრჩეველთა საბჭოზე, ყველა მისაღები და საინტერესო იდეების განსახორციელებლად მოხდება მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში თანხების გათვალისწინება. ხსენებული ვებ-გვერდი უკვე მუშაობს და სასურველი იქნება საბჭოს წევრებიც აქტიურად იქნან ჩართულნი ამ პროგრამის მუშაობის მიმდინარეობის პროცესში.

აზრი გამოთქვეს: ნუგზარ კოხრეიძემ, თემურ ამყოლაძემ, გიორგი ჭიჭინაძემ ქეთევან ბერძენიშვილმა, ნოდარ ჯიქიამ, მეგი ნიჟარაძემ.

საბჭოს წევრებისთვის საინტერესო აღმოჩნდა ამ ვებგვერდის ფუნქციონირება და თავის მხრივ გამოთქვეს მზადყოფნა, ხელი შეუწყონ ამ იდეის პოპულარიზაციას და იყვნენ აქტიური მხარდამჭერები შემოსული იდეების განხილვასა და განხორციელებაში.

საკითხი 3.

მოისმინეს: ქალაქის მერმა ბატონმა გიორგი ჭიღვარიამ საბჭოს წევრებს შეთავაზა, რომ საბჭოს თავმჯდომარისა და მოადგილის კანდიდატურა შეერჩია თვით საბჭოს წევრებს. საბჭოში არის წევრები სამი დარგობრივი მიმართულებიდან. თითო კანდიდატურა დაასახელოს ყველა დარგობრივმა მიმართულებამ და შემდეგ უყარონ კენჭი თავმჯდომარისა და მოადგილის კანდიდატურებს. საამისოდ საბჭოს წევრებმა ერთი კვირის ვადაში მოახდინონ კანდიდატურების შერჩევა. მომდევნო სხდომა ჩატარდება მომდევნო პარასკევს 14 ივლისს, სადაც მოხდება თავმჯდომარის, მოადგილისა და საბჭოს მდივნის არჩევა.

აზრი გამოთქვეს: ნოდარ ჯიქიამ, ნუგზარ კოხრეიძემ, თეონა გოგიშვილმა, ბენია თხილავამ, მეგი ნიჟარაძემ, ქეთევან ბერძენიშვილმა.

დაადგინეს: საბჭოს მორიგი სხდომა გაიმართება 2018 წლის 14 ივლისს 12 საათზე, სადაც მოხდება საბჭოს თავმჯდომარის, მოადგილისა და საბჭოს მდივნის არჩევა.

საბჭოს მდივანი: /ზურაბ ხურციძე/